

სააქციო საზოგადოება
საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა



შინაარსი

| | |
|--|----|
| მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა..... | 3 |
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა..... | 4 |
| ბალანსის უწყისი | 7 |
| მოგება-ზარალის უწყისი | 8 |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი | 9 |
| კაპიტალის მოძრაობის უწყისი | 10 |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები | 11 |



ფინანსური მართვის ჯგუფი
 დოლიძის ქ № 2
 0177 თბილისი, საქართველო
 ტელ.: (995) (322) 36 33 11
 ფაქსი: (995) (322) 36 33 11
 ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
 2 str. Dolidze
 0177 Tbilisi, Georgia
 Tel.: (995) (322) 36 33 11
 Fax: (995) (322) 36 33 11
 E-mail: info@fmg.ge

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

- წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მე-3 დან მე-5 გვერდებზე არსებული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამორჩეულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“ („ორგანიზაცია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ორგანიზაცია გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.



ზონანსური მართვის ჯგუფი
 დოლიძის ქ. № 2
 0177 თბილისი, საქართველო
 ტელ.: (995) (322) 36 33 11
 ფაქსი: (995) (322) 36 33 11
 ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
 2 str. Dolidze
 0177 Tbilisi, Georgia
 Tel.: (995) (322) 36 33 11
 Fax: (995) (322) 36 33 11
 E-mail: info@fmg.ge

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2015 წლის 25 მაისი.

მენეჯმენტის სახელით:

გენერალური დირექტორი
 გიორგი ლოლაძე

25 მაისი, 2015
 თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
 ლიანა კაპიაშვილი

25 მაისი, 2015
 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სააქციო საზოგადოება საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის მენეჯმენტს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ სს საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.



ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ № 2
0177 თბილისი, საქართველო
ტელ: (995) (322) 36 33 11
ფაქსი: (995) (322) 36 33 11
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
2 str. Dolidze
0177 Tbilisi, Georgia
Tel.: (995) (322) 36 33 11
Fax: (995) (322) 36 33 11
E-mail: info@fmg.ge

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციას შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.



Member of
HLB International

ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ № 2
0177 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (322) 36 33 11
ფაქსი: (995) (322) 36 33 11
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
2 str. Dolidze
0177 Tbilisi, Georgia
Tel.: (995) (322) 36 33 11
Fax: (995) (322) 36 33 11
E-mail: info@fmg.ge

დასკვნა

ჩვენი აზრით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს სს საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური მართვის ჯგუფი

25 მაისი, 2015 წელი

თბილისი, საქართველო



სს საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი
 ბალანსის უწყისი
 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| ბალანსის უწყისი | შენიშვნა | 31/12/2013 | 31/12/2014 |
|---|----------|----------------|----------------|
| აქტივები | | | |
| ფული და ფულადი ექვივალენტები | 4 | 578 | 57,400 |
| მოკლევადიანი ინვესტიციები | 5 | 389,928 | 384,028 |
| დებიტორული დავალიანება | 6 | 8,764 | 88,817 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 7 | 3,740 | - |
| ჯამურად მიმდინარე აქტივები | | 403,009 | 530,244 |
| ფიქსირებული აქტივები | 8 | 1,991 | 7,561 |
| მოთხოვნების საწესდებო კაპიტალის შევსებაზე | 9 | - | - |
| არამატერიალური აქტივები | 10 | 588 | 500 |
| ჯამურად გრძელვადიან აქტივები | | 2,579 | 8,060 |
| სულ აქტივები | | 405,588 | 538,305 |
| ვალდებულებები | | | |
| კრედიტორული დავალიანება | 11 | 22,741 | 1,990 |
| მოკლევადიანი სესხები | 12 | 2,000 | - |
| გადასახდელი გადასახადები | 13 | 2,795 | 3,477 |
| გადასახდელი პროცენტები | 14 | - | 103 |
| ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები | | 27,536 | 5,570 |
| სულ ვალდებულებები | | 27,536 | 5,570 |
| კაპიტალი | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 308,560 | 308,560 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 69,492 | 224,175 |
| სულ კაპიტალი | | 378,052 | 532,735 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | | 405,588 | 538,305 |

გენერალური დირექტორი
 გიორგი ლოლაძე

25 მაისი, 2015
 თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
 ლიანა პაპიაშვილი

25 მაისი, 2015
 თბილისი, საქართველო

სს სპროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი
 მოგება ზარალის უწყისი
 2014 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| მოგება-ზარალის უწყისი | შენიშვნა | 12 თვე, 2013 წ. | 12 თვე, 2014 წ. |
|--|----------|-----------------|-----------------|
| შემოსავლები რეალიზაციიდან | 13 | 9,093 | 61,256 |
| მთლიანი მოგება | | 9,093 | 61,256 |
| საოპერაციო ხარჯები | 14 | 22,097 | 28,111 |
| ცვეთის ხარჯი | | 690 | 529 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | | 22,787 | 28,640 |
| არასაოპერაციო მოგება | 15 | 29,990 | 128,336 |
| არასაოპერაციო ზარალი | 16 | (37) | (1,492) |
| სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი | | 29,953 | 126,844 |
| მოგება დაბერგვრამდე | | 16,259 | 159,460 |
| მოგების გადასახადი | | - | (4,777) |
| წმინდა მოგება | | 16,259 | 154,682 |

გენერალური დირექტორი
 გიორგი ლოლაძე

25 მაისი, 2015
 თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
 ლიანა პაპიაშვილი

25 მაისი, 2015
 თბილისი, საქართველო

სს საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი
 ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი
 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი | 31/12/2013 | 31/12/2014 |
|--|-------------------|-------------------|
| წმინდა მოგება | 16,259 | 154,682 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 690 | 529 |
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე | 16,949 | 155,211 |
| ცვლილებები მოკლევადიან ინვესტიციებში | (113,944) | 5,900 |
| ცვლილებები დებიტორულ დავალიანებაში | (4,314) | (80,053) |
| ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში | - | 3,740 |
| ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში | 14,623 | (20,751) |
| ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში | 1,195 | 682 |
| სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | (85,490) | 64,729 |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | | |
| ფიქსირებული აქტივების შეძენა/ ჩამოწერა | (104) | (6,098) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა/ ჩამოწერა | 104 | 88 |
| ცვლილებები გრძელვადიან მოთხოვნებზე საწესდებო კაპიტალის შესავსებად | 75,440 | - |
| სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | 75,440 | (6,010) |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან | | |
| ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში | - | 103 |
| ცვლილებები მოკლევადიან სესხებში | 2,000 | (2,000) |
| ინვესტიცია საკუთარი კაპიტალის გასაზრდელად | 8,560 | - |
| სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან | 10,560 | (1,897) |
| ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება | 510 | 56,822 |
| ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში | 68 | 578 |
| ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს | 578 | 57,400 |

გენერალური დირექტორი
 გიორგი ლოლაძე

25 მაისი, 2015
 თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
 ლიანა პაპიაშვილი

25 მაისი, 2015
 თბილისი, საქართველო

სს საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი
 კაპიტალის მოძრაობის უწყისი
 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| კაპიტალის მოძრაობის უწყისი | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებე ლი მოგება/ზარა ლი | ჯამურად |
|---|-----------------------|--|---------------------|
| ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 300,000 | 53,233 | 353,233 |
| პერიოდის წმინდა მოგება | - | 16,259 | 16,259 |
| ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში შეუვსებელი კაპიტალი | 100,000 (91,440) | - | 100,000 (91,440) |
| ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 308,560 | 69,492 | 378,052 |
| პერიოდის წმინდა მოგება | - | 154,682 | 154,682 |
| ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 308,560 | 224,174 | 532,735 |

გენერალური დირექტორი
 გიორგი ლოლაძე

25 მაისი, 2015
 თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
 ლიანა პაპიაშვილი

25 მაისი, 2015
 თბილისი, საქართველო

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“ (შემდგომში - „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2006 წლის 13 იანვარს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის რეიონალური ცენტრის საგადასახადო ინსპექცია, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, ჭავჭავაძის გამზირი N74ა. ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 308,560 ლარს, ხოლო აქციონერები არიან: გიორგი ლოლაძე (88,49%) და ნიკოლოზ ლოლაძე (11,51%). ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბროკერო საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

2. წარდგენის საფუძველი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ზასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო ვალუტა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში შეფასდება გაყიდვისა და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღრიცხება შესყიდული ინსტრუმენტების ანალოგიურად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

3.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

3.3 მოთხოვნები ბანკების მიმართ

თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია განათავსებს სახსრებს და ახორციელებს შენატანებს ბანკებში სხვადასხვა ვადებით. მოთხოვნები ბანკების მიმართ თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში მოთხოვნები ბანკების მიმართ აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3.4 დებიტორები

დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება კონტრაგენტებთან განთავსებული თანხებისგან რომლითაც ჯერ არ განხორციელებულა ვაჭრობა, ასევე ბანკში არსებული დეპოზიტების პროცენტებისგან და კონტრაგენტებთან განხორციელებული ტრანზაქციების საკომისიოებისგან, რომელსაც კომპანია აღიარებს შემოსავლად.

3.5 ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები ძირითადი ისტორიული ღირებულებით იხილეს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შექმნაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში ან ხდება მათი აღრიცხვა (აღიარება) ცალკეულ აქტივად იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების რემონტისა (შეკეთებისა) და შენახვის ღირებულება აისახება შემოსავლების უწყისში მათი წარმოჩენის პერიოდების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესის მიხედვით და ყოველთვის არ შეესაბამება საერთაშორისო აღრიცხვის სტანდარტებს, ვინაიდან ეს მეთოდი ყოველთვის სათანადოდ არ განსაზღვრავს ამ აქტივებთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვეითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

| | |
|-------------------------------------|--------|
| საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა | 20-40% |
| აღჭურვილობა | |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 20-40% |
| არამატერიალური აქტივები | 15-25% |

ორგანიზაცია არ განიხილავს ცვეთის მეთოდებს და კოეფიციენტებს ყოველი საფინანსო წლის ბოლოს რომ ასახოს ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ორგანიზაციის რომელიმე ძირითადი საშუალება, რომლისგანაც სარგებელს მოელის გაუფასურებულია. როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

3.6 კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

3.7 კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს საკუთარ კაპიტალსა და გაუნაწილებელ მოგებას.

დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა გამოცხადებული იყო ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

3.8 მოგების გადასახადი

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს.

მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება მოცემული პერიოდებისათვის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით და მენეჯმენტის გათვლებზე დაყრდნობით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ზარალის გადავადება ხდება 5 წლის განმავლობაში.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ორგანიზაციას მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობიდან მიღებული დასაბეგრი ბაზის საფუძველზე და საბალანსო უწყისში აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომლებიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე საბუღალტრო მოგებაზე.

3.9 საშემოსავლო გადასახადები

მიღებული ინფორმაციის შესწავლამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის მიერ საშემოსავლო გადასახადების გამოანგარიშებისა და დეკლარირების ნაწილში აუდიტირებად პერიოდში ადგილი არ ჰქონდა შემდეგ სხვაობას: 2014 წლის აგვისტოს თვეში ორგანიზაციას დეკლარირებული აქვს გაცემულ ხელფასად 807,14 ლარი, საშემოსავლო გადასახადი 161,43 ლარი, უნდა განხორციელებული ყოფილიყო 1297,14 ლარის სახელფასო განაცემის დეკლარირება და შესაბამისად 259,43 ლარის საშემოსავლო გადასახადის დეკლარირება, რამაც გამოიწვია 98 ლარის საშემოსავლო გადასახადის სხვაობა და დამატებით 50 ლარის ოდენობით ჯარიმა.

დეკლარაციები შევსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დაცვით და საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილია დროულად.

3.10 შემოსავლები

კომპანიის შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, მომხმარებლისთვის გაწეული საბროკერო მომსახურების გაწევის დროს. სხვადასხვა კონტრაგენტებთან აქციების ყიდვა-გაყიდვის მოცულობის პროპორციულად. თითოეულ კლიენტთან გაფორმებული ხელსეკრულება განსაზღვრავს საკომისიოს მოცულობას, რომელსაც კომპანია იღებს მომხმარებლისგან გაწეული საბროკერო მომსახურებისთვის საფასურად.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემოდინების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

3.11 ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.12 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღრიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მირებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

| | 31 დეკემბერი | 31 დეკემბერი |
|-------------------|--------------|--------------|
| | 2013 | 2014 |
| ლარი/1 აშშ დოლარი | 1.7363 | 1.8636 |
| ლარი/1 ევრო | 2.3891 | 2.2656 |

3.13 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვეითება და ბალანსში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს ბალანსში აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ორგანიზაცია ვალდებულებებთან არ ქვითავს გადაცემულ ფინანსურ აქტივს.

3.14 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდევია.

| შენიშვნა 4 - ფულადი სახსრები | 31.12.2013 | 31.12.2014 |
|---|-------------------|-------------------|
| ლარები საბანკო ანგარიშებზე | 577 | 18,511 |
| აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებში | - | 38,869 |
| ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე | | |
| ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე | 577 | 57,380 |
| ნაღდი ფული სალაროში ლარებში | 0 | 20 |
| სულ ფულადი სახსრები | 578 | 57,400 |

| შენიშვნა 5 - მოკლევადიანი ინვესტიციები | 31.12.2013 | 31.12.2014 |
|---|-------------------|-------------------|
| საქართველოს საფონდო ბირჟის აქციები | 305,898 | 299,998 |
| სს კავკასრეესტრი | 84,000 | 84,000 |
| ვი თი ბი ბანკი ჯიორჯია | 30 | 30 |
| ჯამურად მოკლევადიანი ინვესტიციები | 389,928 | 384,028 |

| შენიშვნა 6 - დებიტორული დავალიანება | 31.12.2013 | 31.12.2014 |
|---|-------------------|-------------------|
| მოთხოვნები კონტრაგენტებთან ვაჭრობის შედეგებზე | 8,764 | 88,817 |
| ჯამურად დებიტორული დავალიანება | 8,764 | 88,817 |

| შენიშვნა 7 - წინასწარ გადახდილი გადასახადები | 31.12.2013 | 31.12.2014 |
|---|-------------------|-------------------|
| წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი | 3,740 | - |
| სულ წინასწარ გადახდილი გადასახადები | 3,740 | - |

შენიშვნა 8 - ძირითადი საშუალებები

| | საოფისე ტექნიკა | ავეჯი და სხვა ინვენტარი | ჯამურად |
|----------------------------|-----------------|-------------------------|----------|
| საწყისი ღირებულება | | | |
| ბალანსი 31/12/2013 | 9,855 | 8,193 | 18,048 |
| დანამატები | 6,010 | - | 6,010 |
| აქტივების ჩამოწერა | - | - | - |
| ბალანსი 31/12/2014 | 15,865 | 8,193 | 24,058 |
| აკუმულირებული ცვეთა | | | |
| ბალანსი 31/12/2013 | (9,643) | (6,413) | (16,056) |
| ცვეთა პერიოდისათვის | (85) | (356) | (441) |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | - | - | - |
| ბალანსი 31/12/2014 | (9,728) | (6,769) | (16,497) |
| წმინდა ღირებულება | | | |
| ბალანსი 31/12/2013 | 212 | 1,779 | 1,991 |
| ბალანსი 31/12/2014 | 6,137 | 1,424 | 7,561 |

შენიშვნა 9 - არამატერიალური აქტივები

| | ლიცენზიები | დომენები და პროგრამული უზრუნველყოფა | ჯამურად |
|----------------------------|------------|-------------------------------------|---------|
| საწყისი ღირებულება | | | |
| ბალანსი 31/12/2013 | 700 | 1,138 | 1,838 |
| დანამატები | - | - | - |
| აქტივების ჩამოწერა | - | - | - |
| ბალანსი 31/12/2014 | 700 | 1,138 | 1,838 |
| აკუმულირებული ცვეთა | | | |
| ბალანსი 31/12/2013 | (509) | (741) | (1,250) |
| ცვეთა პერიოდისათვის | (29) | (59) | (88) |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | - | - | - |
| ბალანსი 31/12/2014 | (538) | (801) | (1,339) |
| წმინდა ღირებულება | | | |
| ბალანსი 31/12/2013 | 191 | 397 | 588 |
| ბალანსი 31/12/2014 | 162 | 337 | 500 |

| შენიშვნა 10 - კრედიტორული დავალიანება | 31.12.2013 | 31.12.2014 |
|--|-------------------|-------------------|
| მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 19,684 | 1,965 |
| წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება | | |
| გადასახდელი ხელფასები | 2,592 | 24 |
| ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე | 246 | |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 219 | |
| სულ კრედიტორული დავალიანება | 22,741 | 1,990 |

| შენიშვნა 11 - მოკლევადიანი სესხები | 31.12.2013 | 31.12.2014 |
|---|-------------------|-------------------|
| პარტნიორისგან მიღებული სესხი | 2,000 | - |
| სულ მოკლევადიანი სესხები | 2,000 | - |

| შენიშვნა 12 - გადასახდელი გადასახადები | 31.12.2013 | 31.12.2014 |
|---|-------------------|-------------------|
| გადასახდელი მოგების გადასახადი | - | 1,038 |
| გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი | 2,795 | 2,417 |
| გადასახდელი ქონების გადასახადი | | 22 |
| სულ გადასახდელი გადასახადები | 2,795 | 3,476 |

| შენიშვნა 13 - შემოსავლები რეალიზაციიდან | 31.12.2013 | 31.12.2014 |
|---|-------------------|-------------------|
| ფასიანი ქალაქდებით ვაჭრობიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი | 9,093 | 14,816 |
| ფასიანი ქალაქდების გაყიდვის მიღებული შემოსავალი | | 46,440 |
| სულ შემოსავლები რეალიზაციიდან | 9,093 | 61,256 |

| შენიშვნა 14 - საოპერაციო ხარჯები | 31.12.2013 | 31.12.2014 |
|---|-------------------|-------------------|
| მარკეტინგის ხარჯები | - | 90 |
| ხელფასის ხარჯები | 5,976 | 6,650 |
| იჯარის ხარჯები | 5,628 | 5,898 |
| საოფისე ხარჯები | 630 | 829 |
| საგადასახადო ხარჯები | 29 | 53 |
| საკანცელარიო საქონელი | - | 125 |
| საფოსტო ხარჯები | 192 | - |
| ინტერნეტის ხარჯები | 429 | 392 |
| ბანკის მომსახურების საკომისიო | 10 | 492 |
| საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები | 500 | 500 |
| ფინანსური ინსტიტუტების საკომისიოების და საწევროების ხარჯები | 8,314 | 12,444 |
| სხვა ხარჯები | 390 | 639 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | 22,097 | 28,111 |

| შენიშვნა 15 - არასაოპერაციო მოგება | 31.12.2013 | 31.12.2014 |
|---|-------------------|-------------------|
| აქციების გადაფასებით მიღებული შემოსავალი | 29,990 | 127,611 |
| საკურსო სხვაობით მიღებული მოგება | - | 725 |
| სულ არასაოპერაციო მოგება | 29,990 | 128,336 |

| შენიშვნა 16 - არასაოპერაციო ზარალი | 31.12.2013 | 31.12.2014 |
|---|-------------------|-------------------|
| სესხის პროცენტის ხარჯები | - | 167 |
| საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი | 37 | 1,324 |
| სულ არასაოპერაციო ზარალი | 37 | 1,492 |

შენიშვნა 17 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით და ამ შენიშვნაში ასეთი ტრანზაქციები არ არის წარმოდგენილი. ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციების დეტალები:

| | 31.12.13 | 31/12/2014 |
|---------------------|-----------------|-------------------|
| სესხი პარტნიორისგან | 2000 | - |

შენიშვნა 18 - კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ორგანიზაცია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ორგანიზაციის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და

- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების

ორგანიზაცია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ორგანიზაცია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია ორგანიზაციამ დააკორექტიროს დამფუძნებლისთვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი დამფუძნებელს, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

შენიშვნა 19 - გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. ორგანიზაციას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის უძრავ ქონებაზე, დანადგარ-აღჭურვილობაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე ორგანიზაციის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ ორგანიზაცია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა ორგანიზაციის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ორგანიზაციის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მაქსიმალური ვალდებულება, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი დავების შედეგად (თუკი საერთოდ წარმოიშვა), არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში არანაირი ვალდებულებების, ჯარიმების და საურავების დაწესება არ არის შესაძლებელი, თუ ექვს წელზე მეტი იქნება გასული საგადასახადო წლიდან, როდესაც მოხდა დარღვევა.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადექვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

შენიშვნა 20 - ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და ტრანზაქციების მოცულობაზე

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ კლიენტების რაოდენობა შეადგენს 706-ს.

2014 წლის განმავლობაში სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ კლიენტების ტრანზაქციების ჯამურმა გარიგებების მოცულობამ შეადგინა:

- თანხობრივად - 1,075,160.37 ლარი;
- ფასიანი ქაღალდების მიხედვით - 493,060 ცალი.

შენიშვნა 21 - საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.